

ახვავი

ვიღრე სავლე ჰავლად იქცევა

და სახელმწიფო ტელევიზია საზოგადოებრივი მაუწყებლობით შეიცვლება



ირაკლი იაშვილი ვარაუდობს, რომ "საზოგადოებრივი მაუწყებლობის გადაცემების ხარისხი, კერძო ტელევიზიებთან შედარებით, ყოველთვის დაბალი იქნება".

A2

უცხოეთი



ტარორიზმი ექვემდებარება იმას დიდ ბრიტანეთში გაასამართლებენ

აბუ ჰამზა ალ-მაზრი ჯერ ბრიტანეთის სამეფო სასამართლოს წინაშე წარდგება.

A5

საზოგადოება

როგორ უნდა ფინანსდებოდეს სკოლა



გუშინ ერთიანი განცხადებით კახა ბენდუქიძემ პირველად თავად გააკეთა მინიშნება მთავრობაში არსებული დაპირების შესახებ.

გუშინ პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ვაუჩერიზაციისა და მისაღები გამოცდების ახალი სისტემის პრეზენტაცია გაიმართა.

A6

იარაღიანი ომისი ,,გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ანორმალური პაკეჟის, როგორც მიხანსაჲს ნარკოტრეფის მოსახლეობისათვის საპარტოლაგოვი დახმარება.

A7

ათონი

	20/10	21/10
თბილისი	21 ☁	15 ☁
ქუთაისი	23 ☁	18 ☁
ბათუმი	24 ☁	14 ☁
სოხუმი	20 ☁	16 ☁
ზოთი	24 ☁	16 ☁
თელავი	20 ☁	13 ☁
ჯუბოტი	23 ☁	18 ☁
გორი	18 ☁	12 ☁
ახმეტა	20 ☁	14 ☁
ქობულთა	21 ☁	16 ☁
ბაბრა	19 ☁	14 ☁


უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიხედვით

აშშ დოლარი	1.8325
ევრო	2.2870
გირვანა სტერლ.	3.2890
რუბლი	0.0629

ხვალ თბილისში მაიკლ მერის ფილმის პრემიერა.

მცირე სიისმური აქტივობა გუნდში

მენტორი პარლამენტი და გახრახულებული მთავრობა



ჯაკა ფარლანდის ოფისი

თამარ ხორბალაძე

კულტურული ბრძოლები თანდათან ზედაპირზე ამოდის: დღეს სიტუაცია პარლამენტსა და მთავრობას შორის გამწვავდა, თუმცა, ეს მხოლოდ ერთი ნაწილია წინააღმდეგობების იმ კასკადში, რომელიც რევოლუციის წლისთავზე წარმოიშვა და ქვეყანაში ახალი პოლიტიკური რეალობის მოახლოების მაცნეა.

დღევანდელი სახელისუფლებო კრიზისის საფუძვლად 2005 წლის ბიუჯეტი სახელდება. მთავრობას პარლამენტი, გარეგნულად მაინც, "მედგრად დაუდგა" და, შესაბამისად, საკუთარი ძალის დემონსტრირებაც ხმამაღლა მოახდინა: არც ერთი დადებითი დასკვნა 2005 წლის ბიუჯეტს - ასეთია პარლამენტის კომიტეტების ვერდიქტი მთავრობის "პირმოხსთვის". მაგრამ რა ძალა აქვს პარლამენტს და ვის იმედად "ათამაშებს კუნთებს" საქართველოს

საკანონმდებლო ორგანო? სულ ერთი კვირის წინ, როცა საბიუჯეტო ვენებები ჯერ მხოლოდ ცხარდებოდა, "24 საათი" საზოგადოებას შეახსენებდა, რომ წინა წლების საბიუჯეტო განხილვისგან განსხვავებით, ბიუჯეტის განხილვის პროცესი, გუნდური მთავრობის არსებობის შემთხვევაში, ახალ პროცედურებს ითვალისწინებს და ეს პროცედურები აპრობირებული სიმბოლოა მთავრობის მიერ შეტანილი პროექტის უკან მიზრულებას, პარლამენტის შე-

ნიშვნებითურთ.

დღეს აფიოტაჟის ატეხვა იმის გამო, რომ პარლამენტი 2005 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით შენიშვნებს ამზადებს და მას მთავრობას უბრუნებს, "ოდნავ გადაჭარბებულია" და დღევანდელი გადასახედიდან უკვე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ბიუჯეტი დღეს ამკარად მხოლოდ საბაბია სახელისუფლებო სიტუაციის ასამღვრევად, თუმცა - საკმაოდ კარგი საბაბი.

თბილისში ფარანკვიტის შკალით



B3

ერთადერთი მანძი

ჯაკა კვსიტაძე

"ჩვენ თვითცნობიერების მექანიზმი ჩავრთეთ. ათი წლის წინ მზად ვიყავით, მოემკვდარიყავით, ოღონდ ინფორმაცია მოგვეპოვებინა, ახლა კი ჩვენ რალაცების კეთებას აღარც კი ვცდილობთ, რადგან ვიცით, რომ მას მაინც არ გავაშვებინებენ. ადრე მე ვუსინის კის სურვილებს გადაცემის შემდეგ გადმომცემდნენ. ახლა კი უკვე გადაცემის დაწყებამდე მეუბნებიან, რა სურს კრემლს," - ელენა სავინა, ნტვ-ს ჟურნალისტი.

პოსტრევოლუციური პერიოდი ვერ იქნება "ზედმეტად" დემოკრატიული. ამ ეტაპზე ძალაუფლების კონსოლიდირება აუცილებელია - დაახლოებით ასე უდრის ის არგუმენტები, რომელსაც დღეს ხელი-სუფლება და თავად პრეზიდენტი იშველებს. ამ არგუმენტებს მოუხმობდნენ მაშინ, როცა ახალ მთავრობაზე მორგებულ კონსტიტუციას იღებდნენ; მაშინ, როცა ადგილობრივ თვითმმართველობაზე ითქვა უარი; მაშინ, როცა პოლიტიკური თოქ-შოუების დახურვის გადწყვეტილება იქნა მიღებული; მაშინ, როცა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოტივით მასმედიის ცენზურა სახელმწიფო ინტერესის დაცვის რანგში იქნა აყვანილი.

ყველამ კარგად იცოდა, რომ რევოლუციის შემდეგ სასწაული ერთ დღეში ვერ მოხდებოდა და ხელშეწყობის შედეგების მისაღწევად გარკვეული დრო იქნებოდა საჭირო. მაგრამ ის, რასაც ყველა ელოდა და, უფრო მეტიც, ითხოვდა რევოლუციის გზით მოსული ხელი-სუფლებისგან, დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა და გაძლიერება იყო.

სასამართლო, თავისუფალი მეცნიერება და პარლამენტი ის სამი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია, რომელთა გამართული ფუნქციონირება ქვეყანაში დემოკრატიული პროცესის წარმართვისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

კითხვაზე, გვაქვს თუ არა დღეს თავისუფალი მეცნიერება, დამოუკიდებელი და არაკონტროლირებადი სასამართლო და პლურალისტური პარლამენტი, პასუხი მარტივია - არა.

ისევე, როგორც პასუხი - არა - ცალსახა ყველაზე მნიშვნელოვან კითხვაზე: გვაქვს თუ არა დღეს კანონის უზენაესობა - როგორც ფუნდამენტი, რომლის გარეშე დემოკრატიის შექმნის მცდელობა მხოლოდ და მხოლოდ დიდი ილუზიაა.

საკანონმდებლო ხელისუფლებას უარი არ უთქვამს შევარდნაძის მმართველობიდან მიღებულ "ტვილ ლუკმაზე", ბოლომდე გაეკონტროლებინა სასამართლო და ის პოლიტიკური გადაწყვეტილებისთვის ლეგიტიმაციის მიმნიჭებელ ადგილად ექცია. დღეს სასამართლოზე პოლიტიკური ზენოლა გაცილებით უფრო პრობლემატურია, ვიდრე ის, რომ რომელიმე მოსამართლე ქრთამად ხუთას დოლარს იღებს. ხელისუფლება მათ იჭერს, მაგრამ დაჭერა, ცხადია, ვერანაირად ვერ გადაჭრის სასამართლოში და ზოგადად ქვეყანაში არსებულ უზარმაზარ პრობლემას - კანონის უზენაესობის უგულვებელყოფას. დღეს კორუფციისთან მებრძოლი ხელისუფლება გაცილებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, თუ ვის დაიჭერს; თუმცა, დემოკრატიის განვითარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ დაიჭერ თუნდაც ყველაზე დიდ დამნაშავესაც და შემდგომ როგორ მოექცევი მას. ნამების გაზრდილი ფაქტები კი ამკარად მიუთითებს, რომ ამაზე ხელისუფლებაში დიდად არ ნუხან.

ისევე, როგორც დიდად არ ნუხან იმაზე, რომ ყველა დამნაშავის მიმართ ერთიანი სტანდარტი მოქმედებდეს. რა ნიშნით აირჩია ახალმა ხელისუფლებამ მსხვერპლად შევარდნაძის რეჟიმის წარმომადგენელთა მხოლოდ ერთი ნაწილი და რა ნიშნით შეინჯა მათ მთელი ნაწილი? - ამ კითხვაზე დასაბუთებული პასუხის მიღება შეუძლებელია.

ბაზრძალა A3 ბაზრძალა

თბილისში ფარანჯიების ზკალით



B3

ლაზაქა "ბოსის" გოგონახა ხომ არ დადუპის?



B5

ახალი „ფოქუსის“ პარიზული დეზიუტი



B6

რეპორტაჟი

დუბაი

ვასო ზასალია

ასე იყო:

რას გვეუბნება, ერთ სოფელში ათასწლეულების შემდეგ ნაპოვნი და დადგმული ლუმელი? პასუხი ჯობდა, ფოტოებით გადმომეცა, მაგრამ, მგონი, სრულად ვერ მოვახერხე, ამიტომ რეპორტაჟს მცირე ახსნა-განმარტებას ვურთავ.

კულტურის სამინისტროს ინიციატივით, ქართლის სოფელ დოღლიაურში დედოფლისგორაზე არქეოლოგიურ გათხრებზე აღმოჩნდა. იქიდან ნაპოვნი არქეოლოგიური ძეგლები და ბავშვები დაგვგვინებენ, - იქნებ ჩვენთანაც შემოიხედოთ, ნახოთ, როგორ ვცხოვრობთო, - მაგრამ და რადგან იქ მყოფ ურნალისტებში სოციალურ თემას არავინ აშუქებდა

და მასპინძლებსაც (რაიონის ხელმძღვანელობა) სადილად მივყავდით, მოვუბოდიშეთ, დავაიმედეთ, - სხვა დროს ჩამოვალთ-თქო, - და დავემშვიდობეთ.

ერთი თვის შემდეგ, როგორცაც გამოვინახე დრო და ისევ ჩავედი. სოფელ დოღლიაურის პირველი დასახლება თბილის-ხაშურის გზატკეცილიდანვე ჩანს - წინ მდებარე გადახნულ სავარგულში ჩემი ჩასვლისას კარტოფილს იღებდნენ. მინაგზისგალმა მცხოვრებ არადეთელს ეკუთვნით, მუშაობით კი, ქირით, ოსეთიდან დევნილი ქართველები

ბი მუშაობენ, რომლებიც გაეროს მიერ აგებული, ერთმანეთთან ახლოს მდგომ შენობებში ყამირ მინაზე სახლობენ - ოთხ ოჯახზე ერთი სახლია, რომლის გარშემო ორ მეტრში ბეტონის ბილიკებამდე სათავისოდ ყვავილებს ახარებენ. ამ დასახლებიდან ნახევარ კილომეტრში სოფელი იწყება, სადაც ათეული წლის წინ ოსებიც ცხოვრობდნენ. ოსურ-ქართული კონფლიქტის დროს იძულებული გახდნენ აქაურობა დაეტოვებინათ. მინის პრივატიზირებისას უპატრონოდ დარჩენილი სავარგულები არადეთელებმა კანონიერად

დაიმტკიცეს. დენის სადენიც ვილაც-ამ აახვია და გაყიდა; ზამთარში ჭები შრება და წყალს შორიდან ეზიდებიან; ბავშვები კი მ კილომეტრით დაშორებულ, სხვა სოფლის სკოლაში ფეხით დადიან.

რამ დააბრუნათ? ერთმა, ორჯონიკიძიდან დაბრუნებულმა ქალმა მითხრა:

ჩემმა ბიჭმა თქვა, - იქო (ორჯონიკიძე) ძალიან ცივი ხალხია და ისევ საქართველოში დავიჩაგრო, ის მირჩევნიაო.

არა მგონია, ამ სიტყვების პატრონი ჩვენ სიბრალულს ითხოვდეს,

დაბრუნებული ოსია თუ დევნილი ქართველი, მერე და რა, თუ ის საზიარო სახატეში (საქართველოს პიმის თანახმად) ათასწლეულების შემდეგაც რიყრაყამდე, ბნელში დლიდან დღემდე თვითნაკეთ ლუმელს ანთებს, რომ შვილს სკოლაში გამგზავრებამდე რამე აჭამოს, როცა ამავედროულად ჩვენ წყალიც გვაქვს, შუქიც, სარეცხი მანქანაც, მიკროტალღოვანი ლუმელიც და ბავშვებიც პრესტიჟულ სკოლაში პრესტიჟული მანქანით დაგვყავს. თუ ცეცხლს არ ვანთებთ, ჩვენ მეტად გნვალბთ.



